

შეცვალე საქართველო! (2021-2024)

ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროგრამა არის საბაზისო დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო ხელმისაწვდომობის გზით და საზოგადოების თანამონაწილეობით მიიღებს საბოლოო სახეს.

აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია დასვას კითხვები, შეიტანოს ცვლილებები, დაამატოს იდეა თუ მოსაზრება შემოთავაზებულ პროგრამაში და გახდეს ქვეყნის მართვის ახალი, სახალხო მოდელის შექმნის თანამონაწილე.

დღევანდელ მსოფლიოში განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც ვლინდება პრობლემები, რომლებიც ექსპერტების აზრით მთავრობებსა და ხალხს შორის კომუნიკაციის ნაკლებობით არის განპირობებული (მათი აზრით, მთავრობები ვერ ან არ ახდენენ ხალხის რეალური მოთხოვნილებების იდენტიფიცირებას). შესაბამისად, გატარებული რეფორმები და ღონისძიებები ვერ ქმნის თანაბარ და საყოველთაო კეთილდღეობას მოქალაქეებისათვის.

ჩვენი ამოცანაა, ვიხელმძღვანელოთ ამ ქვეყნების გამოცდილებებით (წარმატებები და შეცდომები), დავნერგოთ სანიმუშო მოდელი, რომელიც საზოგადოებასთან მაქსიმალური კომუნიკაციისა და ხალხის მიერ მთავრობის კონტროლის მექანიზმზე იქნება დაფუძნებული.

სწორად იდენტიფიცირებული პრობლემები, საჭიროებები და პერსპექტივები ქვეყნის მართვის წარმატებული მოდელის განსაზღვრის უპირობო საფუძველია. ეს პროცესი უნდა ყალიბდებოდეს არა მთავრობის წევრების შეხედულებების ან მოთხოვნილებების, არამედ ხალხის რეალური მოთხოვნილებების (სოციალური, მოქალაქეობრივი, ეროვნული...) საფუძველზე.

დოკუმენტში მოცემულია სხვა ქვეყნებში აპრობირებული წარმატებული მოდელები, რომელთა საქართველოში გატარების პერსპექტივა რეალურია საკუთარი მოქალაქეებისთვის მოტივირებული და მზრუნველი მთავრობის პირობებში.

**მპე „შეცვალე საქართველო“-ს თავმჯდომარე
გიორგი გაგნიძე**

მდგრადი ეკონომიკური განვითარება

მდიდარი ოჯახი

საქართველო უნდა იყოს მდიდრებით დასახლებული სახელმწიფო

საქართველოში 330 ათასამდე ოჯახია, მათი უმრავლესობა (80%-ზე მეტი) უნდა იყოს მდიდარი. სიმდიდრის ინდექსი განისაზღვრება შემდეგნაირად: ერთი ოჯახის (მინ. 3 ადამიანი) 3 წლის ხელფასი, უძრავი, მოძრავი და ბიზნეს ქონების (მათ შორის ბიზნესიდან მოგება, აქციები და სხვა) ღირებულების ჯამი უნდა აღემატებოდეს 1 მლნ ლარს. 2021-2024. როგორ მივაღწევთ ამ მიზანს:

- 1. დუბაის გაუმჯობესებული ბიზნეს მოდელის დანერგვა - ყველა უცხოური კომპანიისთვის გადასახადი იქნება 0%**, რაც მოიზიდავს მილიარდობით ინვესტიციას და დაასაქმებს ასობით ათას ადამიანს. თუ უცხოელი დაარეგისტრირებს კომპანიას ან უკვე შექმნილს გადმოიტანს საქართველოში იგი კომპანიის 0,1-იდან 9%-მდე წილში სვამს საქართველოს მოსახლეობას - სს „საქართველოს მოსახლეობა“ (ამ პროექტში არ შედიან მდიდარი საქართველოს მოქალაქეები/მათი ოჯახები, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 1 მლნ ლარს). აღნიშნული წილი და შესაბამისად მოგება ოჯახებზე გადანაწილდება შემდეგი სქემით: 10%-30%-60%. (10%- მდიდარი (ოჯახი რომელთაც წლიური შემოსავალი განისაზღვრება 300.000იდან -1მლნ-მდე ლარის შუალედში)), 30%- საშუალო ფენა (ოჯახი რომელთაც წლიური შემოსავალი განისაზღვრება 100000-300000 ლარის შუალედში), ხოლო ოჯახებს რომელთა შემოსავალი განისაზღვრება 0-100.000 ლარის შუალედში ჩაერიცხება 60%) აღნიშნული სქემით თუ ოჯახის შემოსავალი (მათი სრული ქონება/შემოსავალი და ნებისმიერი ღირებული ნივთი) 1მლნ ლარს გადააჭარბებს ავტომატორუად გამოეთიშება პროგრამას. თუ უცხოურ კომპანიას ბიზნესის მიმართულებად ექნება ტელეკომუნიკაცია, ენერჯო ბიზნესი ან სხვა ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქმიანობა იგი ვალდებული იქნება სს "საქართველოს მოსახლეობა"-ს გაუფორმოს *51% წილი, თუმცა ასეთი დიდი წილის მიუხედავად, არა მოგების 51%-ს არამედ მოგების 0.1-დან 9%-მდე უხდის აქციონერებს, რათა უცხოური კომპანიებისთვის მაქსიმალურად მიმზიდველი იყოს ჩვენი ქვეყანა. დუბაის გაუმჯობესებული მოდელის მიხედვით შემოსავლის/სარგებლის გადანაწილება მოხდება ოჯახებზე, თუ ადამიანს არ ჰყავს ოჯახი ჩაერიცხება ოჯახზე ჩასარიცხი თანხის მეოთხედით. ეს ფაქტორი დემოგრაფიის გაუმჯობესებასაც წახალისებს. *საქართველოს მოქალაქეების 51%-იან წილში ჩასმა გვაზღვევს საქართველოს ინტერესების ხელყოფისგან. დუბაის მთავრობამაც აღნიშნული წესი, პირველ რიგში, მიიღო რელიგიის, ქვეყნის იერის და ტრადიციების დასაცავად. საქართველოს მოქალაქე იქნება უცხოური კომპანიის წილში, რომელიც ოპერირებს საქართველოში, მაგრამ კომპანიას არ ექნება ისეთი პროექტის განხორციელების უფლება, რაც დააზიანებს საქართველოს ტრადიციებს, იერს, რელიგიას, ქვეყნის საერთო ინტერესებს ან სხვა. ამასთან ერთად აღნიშნულ წესში იგულისხმება დამატებითი ფინანსური სარგებელი კომპანიის გაყიდვის შემთხვევაში (თუმცა საქართველოს მოქალაქეები არა 51%-ს, არამედ კონკრეტულ კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებულ გარიგების %-ს მიიღებენ რაც წინასწარ კომპანიის რეგისტრაციისას იქნება ცნობილი სპეციალური ფორმულით).
- 2. მონაკოს გაუმჯობესებული მდიდრების მოზიდვის მოდელის დანერგვა** - თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი მინიმუმ 200 ათასი დოლარის ინვესტიციას (ექვივალენტით ლარში) განახორციელებს უძრავ ქონებაში (მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო) მას ავტომატურად გადაეცემა ბინადრობის მოწმობა და აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი მისთვის იქნება 0! ეს გამოიწვევს მდიდრების სწრაფ დასახლებას, მათი ინვესტიციებით და პირადი ხარჯების გაწევით ქვეყნის სწრაფ გამდიდრებას, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მოხდება უძრავი ქონების ფასის სწრაფი ზრდა საქართველოში, რომელსაც ბოლო 15 წელია ძვრა არ აქვს, რაც საქართველოს

დამატებით გაამდიდრებს. შეგახსენებთ რომ მონაკოში უძრავი ქონების ღირებულება მსოფლიოში ყველაზე მაღალია და 1 კვადრატული მეტრი ფასი შეადგენს 34.000 ევროს, ანუ მინიმალური სახლის ღირებულება მილიონ ევროს აჭარბებს.

3. **საპენსიო ფონდის თანხებით ბიზნესის შექმნა და ხალხის საკუთრებაში გადაცემა** - ყოველწლიურად აკუმულირებული 800 მლნ ლარით მოხდება საერთაშორისო ფრანჩაიზინგული ან სხვა კომპანიების შექმნა საქართველოს მოქალაქეების სახელზე (რომლებიც ჩართულები არიან საპენსიო ფონდის პროგრამაში), რომლებიც ოპერირებას მოახდენენ საქართველოში (მაგ. რომ გავხსნათ „კარფურის“ კონკურენტი კომპანია “One Stop”, რომელიც ფასით და ხარისხით კონკურენციას გაუწევს და ეტაპობრივად გაასწრებს „კარფურს“ ანუ ისეთ კომპანიას, რომლის უზარმაზარი მოგება ნაწილდება მხოლოდ ორ ადამიანზე - ჩინოვნიკზე და არაბ ბიზნესმენზე. ჩვენ ამით მივალწევთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის სახელზე მოხდება დამატებითი პირდაპირი შემოსავლის გაჩენა, ასევე საპენსიო ფონდის ფარგლებში (საპენსიო ასაკის მიღწევისას) მიიღებენ არა გაუფასურებულ ლარს, არამედ რეალური კომპანიების აქციებს, რომლებიც ბევრჯერ აღემატება დღევანდელი სისტემით მოსალოდნელ თანხებს. ისინი სანამ საპენსიო ასაკს მიაღწევენ კომპანიებიდან იღებენ სპეც. ფორმულით გადანაწილებულ ყოველწლიურ მოგებას. ხოლო საპენსიო ასაკის მიღწევისას მათ შეეძლებათ მიყიდონ თავისი წილი სახელმწიფოს და მიიღებენ პირდაპირ ნაღდ ფულს, ან დატოვონ თავის სახელზე და გააგრძელებენ ამ კომპანიებიდან მოგების სახით თანხის მიღებას.
4. ამ ბიზნესების ჩამონათვალში შედის ბანკის შექმნა/შექმნა, რომელიც იქნება ხალხის საკუთრებაში და დიდ შემოსავალს მოუტანს მათ. ამასთანავე, კონკურენციის გზით, აიძულებს მონოპოლისტ ბანკებს შეცვალონ არაადეკვატურად მაღალი პროცენტი და მმარცველური პოლიტიკა.
5. კომერციული უძრავი ქონების შექმნა საკურორტო ზონებში, ქალაქის ცენტრებში და მათი მართვის ჩაბარება სამენეჯმენტო კომპანიებს. ამ მიდგომებით ასობით მილიონი სუფთა მოგება გადანაწილდება საპენსიო ფონდში არსებულ ყველა პირზე.
6. საპენსიო ფონდში ჩართული მოქალაქეები დაიყოფა 3 ფენად - ღარიბი, საშუალო, მდიდარი და მოგება გადანაწილდება შემდეგი სქემით: 49%(ღარიბი)-30%(საშუალო)-21%(მდიდარი). მდიდარი - ოჯახი რომელთა წლიური შემოსავალი განისაზღვრება 200000-1 მლნ ლარის შუალედში, საშუალო ფენა - ოჯახი რომელთა წლიური შემოსავალი განისაზღვრება 20.000-200.000 ლარის შუალედში, ღარიბი - ოჯახი რომელთა შემოსავალი განისაზღვრება 0-20.000 ლარის შუალედში ჩაერიცხება. აღნიშნული კომპანიების მოგება მოქალაქეებს ჩაერიცხებათ ყოველწლიურად, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს. აგრეთვე, სქემაში ჩართულ მოქალაქეებს საპენსიო ფონდის აქტივში ექნებათ ყოველწლიურად მზარდი ბიზნესწილი, რის გარანტირებულ გაყიდვასაც შეძლებენ სახელმწიფოზე საპენსიო ასაკის მიღწევისას.

ტურიზმი - ყოველწლიურად 22 მლნ ტურისტის

მოკლევადიანი გეგმა (2021-2022 წწ):

1. **საზღვრების გახსნა ქვეყნების უმეტესობასთან შემდეგი წესის დაცვით** (აუცილებელი პირობაა რომ ქვეყანა არ იყოს კოვიდ-2019-ის წითელ ნუსხაში): უნდა

მოხდეს სახელმწიფოს მიერ ყველა ტურისტის 24 საათით გადანაწილება საკარანტინო ზონებში, სადაც მათ სახელმწიფოს ხარჯით ჩატარდება PCR და სწრაფი ტესტები, რითაც 100%-ით გამოირიცხება ვირუსის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან. ეს საშუალებას მოგვცემს მასიურად გავხსნათ ქვეყანა, ავამუშავოთ ეკონომიკა და სწორი დაგეგმარების შემთხვევაში, 2021 წლის ბოლოს დავიბრუნოთ კოვიდ-19-მდე არსებული ტურისტების მაჩვენებელი.

2. **პირბადეების სავალდებულო წესის გაუქმება** - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და ამერიკის მთავრობის დაავადებათა კონტროლისა და დაცვის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით სტანდარტული პირბადეები არ გვიცავს არც ერთი ვირუსისგან, მათ შორის არც „კოვიდ-19“-ისგან, ვინაიდან კორონა და სხვა ვირუსის ნაწილაკების ზომა მერყეობს 80-220 ნანომეტრამდე, ხოლო სტანდარტული პირბადე (ე.წ. „ქირურგიული ნილაბი“) ატარებს 3000 ნანომეტრამდე ყველა სახის ვირუსს (ანუ ატარებს 14-ჯერ უფრო მეტ ნაწილაკებსაც). შესაბამისად უნდა მოიხსნას აღნიშნული პირბადეების ტარების შეზღუდვა, სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ რისკ-ჯგუფებში შემავალი პირებისთვის სპეციალური პირბადე N95-ის სტანდარტის გამოყენება, რომელიც მათ რეალურად დაიცავს.
3. **სამკურნალო/სარეაბილიტაციო ტურიზმის მასიური გააქტიურება** და წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალშემოსავლიანი ტურისტების შემოდინებას. ჩვენს ქვეყანას 2700-მდე ბუნებრივად ამომდინარე მინერალური წყალი აქვს, ამათგან 300 ჭაბურღილიდან. ასევე უნიკალური თერმული, გოგირდის წყლებით სავსე ადგილები, რომლებიც გასაოცარი სამკურნალო თვისებებით გამოიხატება. კურორტები: თბილისი, საირმე, ბორჯომი, წყალტუბო, აბასთუმანი, შოვი და სხვა.
4. **ეკოტურიზმის განვითარება** - არსებული რეალობიდან გამომდინარე, საქართველო მოწინავე ქვეყნებს შორისაა „კოვიდ-19“-თან ბრძოლაში (ტურისტებისთვის მწვანე ზონად არის გამოცხადებული) და ამასთანავე, მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ბუნება გააჩნია. ეს ორი ფაქტორი, ერთად, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადგილობრივი რესურსების ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის უფრო ეფექტიანად გამოსაყენებლად. ეკოტურიზმით დაინტერესებულ სეგმენტს უნდა შევთავაზოთ ამ მიმართულებით ორგანიზებული მომსახურება.
5. მაღალშემოსავლიან ტურისტებზე გათვლილი გასართობი პროგრამის ჩამოყალიბება/გამართვა (დამის ცხოვრება, გასტრონომიული, ექსტრემალური, აზარტული და სხვა ტურები).
6. დამატებით 30 პირდაპირი რეისების გახსნა პერსპექტიულ ქვეყნებთან/დესტინაციებთან, რაც ავტომატურად გაზრდის აღნიშნული ქვეყნებიდან ტურისტების შემოდინებას.

გრძელვადიანი გეგმა (2023-2024 წწ):

1. **MICE ტურიზმის** (შეხვედრები, ინსენტივები, კონფერენციები, გამოფენები) განვითარება. ქვეყნის მასშტაბით მოხდება ტურისტულ სფეროში არსებული კომპანიების გააქტიურება ამ მიმართულებით, რომელიც შემოიყვანს ბევრად მეტ შემოსავლიან ტურისტს.
2. **გრანდიოზული მუსიკალური ფესტივალების მოწყობა**, მათ შორის, როგორცაა - „თუმროვლენდი“. ფესტივალი ჩატარდება ანაკლიაში, სახელწოდებით „THE KEY“

(გასაღები საქართველოს ნეტარების, საოცრებების და გართობის სამყაროში) და იქნება მსოფლიოში ყველაზე დიდი მუსიკალური ფესტივალი - 220 ათასზე მეტი ადამიანის დასწრებით.

სოფლის მეურნეობა - 70%-

ზე მეტი მიწების ათვისება (გადაცემა გლეხებს, ფერმერებს, ბიზნესის კეთების მსურველებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით) (2022-2023 წწ)

1. ახლო წარსულის (სსრკ-ს დროის) მაგალითზე ვიცით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა იყო საკმაოდ რენტაბელური და ის პროდუქციით ნახევარზე მეტ საბჭოთა რესპუბლიკებსაც ამარაგებდა.
2. დღევანდელი ჩვენი იმპორტდამოკიდებულება (პროდუქციის უმეტესობა შემოდის უცხოეთიდან) ზრდის ფასებს, როგორც კურსთაშორის გადახურდავებით გამოწვეული გაძვირების, ასევე მოგების მარჟის და უკონკურენტობის გამო. შესაბამისად, როცა მოხდება ჩვენი საკუთარი წარმოების გააქტიურება, საქართველოში პროდუქციის ღირებულება 40%-დან 80%-მდე დაიკლებს, ხოლო რეგიონები მნიშვნელოვნად განვითარდება და გამდიდრდება.
3. მსოფლიოსთვის კონკურენციის გაწევის მიზნით, მოხდება ბიომეურნეობის მასშტაბური განვითარება (ორჯერ უფრო მომგებიანი და სამჯერ უფრო მოთხოვნადია, ვინაიდან, ბაზარზე არის დიდი მოთხოვნა და დაკმაყოფილების დონე ჯერჯერობით არ არის საკმარისი).
4. მოხდება სახელმწიფოს მიერ ჭკვიანი ინვესტირება აღნიშნულ დარგში, რაც გულისხმობს ყველა მსურველის, მათ შორის, გლეხების ტრენინგებს (მივამაგრებთ შესაბამისი სფეროს ინდივიდუალურ კონსულტანტებს) კონკრეტულ სფეროში, შემდგომ კი მათ სრულ დაფინანსებას 0-იდან 5%-მდე სესხით (აღნიშნული თანხის გამოყოფა მოხდება ტრანშებად არსებული ბიზნესგეგმის ყოველი ეტაპის შესრულების შემდგომ).
5. ფერმერობის მსურველებს შესაბამისი ფართის მიწები გადაეცემათ უფასოდ. ფაქტიურად, სახელმწიფო ხდება გლეხის დამხმარე პარტნიორი, იქამდე სანამ ის არ მიიღებს სტაბილურ მოგებას.
6. დაზღვევა - მოხდება ევროპული სადაზღვეო გამოცდილების დანერგვა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ყველა რისკის დაზღვევა.
7. სოფლის მეურნეობის აღორძინებით, ბევრ სიკეთესთან ერთად, მოხდება ლარის კურსის საგრძნობი გამყარება, ვინაიდან არ მოგვიწევს პროდუქციის უცხო ქვეყნიდან შესყიდვა და არ მოხდება ფინანსური რესურსის ქვეყნიდან გადინება (მაგ. ტურიზმიდან 3 მილიარდი დოლარის შემოსავლის დაახლოებით ნახევარი კვებაში იხარჯება, პროდუქცია კი ხშირ შემთხვევაში შემოტანილია და ჩვენივე მოზიდული ტურისტებისგან შემოსული თანხების დიდი ნაწილი ქვეყნიდან გაედინება!). ასევე, საქართველოში ავტომატურად დაიწევს პროდუქციის ღირებულება, გახდება კონკურენტუნარიანი და მოგება დარჩებათ ჩვენს გლეხებს.

საქართველოს გლობალური ლოჯისტიკური სისტემა (2021-2024 წ)

1. აბრეშუმის გზის პროექტში რეალურად ჩართვა, რაც გულისხმობს ევროპის ჩინეთთან ყველაზე ხელსაყრელი მარშრუტით - საქართველოს გავლით დაკავშირებას, მიიღწევა ანაკლიის პორტისა და საქართველოს რკინიგზის განვითარებით.
2. ანაკლიის პორტი - ურთიერთობების გამყარება აშშ-სთან - ანაკლიის პორტთან დაკავშირებული კონტრაქტების ამუშავება მოხდება დაჩქარებული წესით, ეს გამოიწვევს ურთიერთობების განმტკიცებას ამერიკასთან.
3. თურქეთის სარკინიგზო მარშრუტის პროექტი ევროპასა და ჩინეთს საქართველო-აზერბაიჯანი-ყაზახეთის გავლით დააკავშირებს.
4. საქართველოს ჩქაროსნული ავტობანის პროექტის დასრულება, რომელიც როგორც ტურისტულ ასევე ლოჯისტიკურ მიმართულებებს გლობალურ ქრილში წაწევს წინ დიდი ნაბიჯით.

საგადასახადო სისტემა - მაქსიმალური გამჭირვალობა (2021-2022 წწ)

1. საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მეგობარი ბიზნესისთვის და არა მამინებელი მტერი. როდესაც ბიზნესი იქნება დარწმუნებული, რომ სახელმწიფოში გადახდილი ყოველი თეთრი იქნება მიზნობრივად და ქვეყნის კეთილდღეობისთვის დახარჯული, რასაც ყველა სახელმწიფო სისტემაში დანერგილი ბლოკჰეინ ტექნოლოგია განსაზღვრავს, ბიზნესს მიეცემა დამატებითი მოტივაცია, რომ გადასახადები არ დამალოს და სრულად გადაიხადოს. საერთაშორისო პრაქტიკით ქვეყნის გადაქცევა გამჭირვალე საგადასახადო სახელმწიფოდ, სადაც არაა კორუფცია და ბიზნესი დარწმუნებულია, რომ ყველა მისი ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაიხარჯება ისევ მასზე და ქვეყნის მოსახლეობაზე იწვევს ქვეყნებში გადასახადების გადახდის ზრდას 30%-იდან 70%-მდე.
2. ქართული ბიზნესისთვის დაწესდება ერთი გადასახადი 9%-ის ოდენობით.
3. მოსახლეობის დბალი ფენა პროდუქტებზე და ნებისმიერ მომსახურებაზე მიიღებს 20%-იან ფასდაკლების სპეციალურ ბარათს, რომელიც იმოქმედებს სანამ სახელმწიფო არ აღმოფხვრის სიღარიბის პრობლემას.

სახელმწიფოს ზარალიანი კომპანიების მოგებაზე გაყვანა (2021-2022 წწ)

1. ყოველწლიურად „საქართველოს რკინიგზას“ 800 მილიონიანი ზარალი აქვს - უნდა მოხდეს მენეჯმენტში საერთაშორისო კომპანიების შემოყვანა, რომლებიც მომგებიანს გახდიან აღნიშნულ კომპანიას. საერთაშორისო სარკინიგზო პროექტებში მონაწილეობა (თურქეთი-ევროპის, ასევე საქართველო-აზერბაიჯანი-ყაზახეთის გავლით ევროპა-ჩინეთის დაკავშირება) საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ უცხოური მსხვილი კომპანიები მოვიზიდოთ საქართველოს რკინიგზაში ინვესტიციის ჩასადებად და ყოველწლიური მილიარდიანი მინუსის განულების გარდა, ქვეყანაში მრავალმილიარდიანი შემოსავალი შემოვიტანოთ.
2. საპარტნიორო ფონდის გაუქმება, რომელსაც 500-მილიონიანი ზარალი აქვს!
3. სახელმწიფო ვალის შემცირება, რომლის დასაფარად ყოველწლიურად 2 მილიარდ ლარამდე იხარჯება! ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მატულობს ლარის გაუფასურებასთან ერთად, რადგან სესხები ვალუტაში გვაქვს და უფრო ძვირად გვიწევს მათი დაბრუნება (7%-იანი სესხი, რეალურად, გრძელვადიან პერსპექტივაში გვიჯდება 40%).

4. პირველ რიგში, აუცილებელია ლარის სწრაფი გამყარება და სესხის აღებისგან თავის შეკავება, რაც ლარის გამყარებასაც შეუწყობს ხელს.

კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს მოდერნიზება (2021 წ)

1. სახელმწიფო ტენდერების კორუფციული სისტემის ჩამოშლა, რაც ყოველწლიურად სულ მცირე 2 მილიარდ ლარს დაუზოგავს სახელმწიფოს. ბლოკჰეინ ტექნოლოგიის, გონიერი კონტრაქტების და ხელოვნური ინტელექტის დანერგვა შესყიდვების სისტემაში, რათა ამოვარდეს ადამიანური ფაქტორი ფინანსებთან ურთიერთობისას, რაც გამოიწვევს კორუფციის საბოლოო დამარცხებას.
2. ტენდერების აკრძალვა პირდაპირი მიყიდვის წესით, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობის თანხმობით ხდება (წელიწადში 800 მილიონამდე) და მათი შეცვლა სტანდარტული გამარტივებული ელექტრონული ტენდერების სისტემით - ჯანსაღი კონკურენციით.
3. მონოპოლიების აღმოჩენა და ჩამოშლა, სატენდერო წინადადების გათავისუფლება სპეციალურად შექმნილი ე.წ. ფილტრებისგან (ტენდერებიდან ითიშებიან კონკურენტი კომპანიები, გარდა წინასწარ შეთანხმებული კომპანიისა), რაც ჯანსაღ კონკურენციას უზრუნველყოფს.
4. ყველა საერთაშორისო რეკომენდაციის, მათ შორის, ვენეციის კონვენციის ჯგუფის მითითებების გათვალისწინება.

ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში (2022-2023 წწ)

1. უპირატესობები: მილიონობით დამატებითი თანხის შემოდინება; ბიზნესის შექმნა; ევროპული, ამერიკული და სხვა გამოცდილების, მათ შორის, საერთაშორისო კლასის ინტელექტის შემოტანა საქართველოში; ოჯახების გაერთიანება და სხვა.
2. ქართველი ემიგრანტებისთვის ბიზნესის შექმნაში ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:
 - ა) გადასახადი, როგორც ნებისმიერი უცხოელისთვის იქნება 0%;
 - ბ) სესხებს აიღებენ ევროპული პროცენტით - 4-6% (ამით წავახალისებთ ფინანსურად შეძლებული ქართველების დაბრუნებასაც, რაც ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს);

1. გამოიყოფა წამახალისებელი ერთჯერადი თანხა - 5 ათას ლარამდე (თანხა დაზუსტდება ექსპერტების მიერ, დადგინდება სპეციალური წესები და შეზღუდვები, რათა მიზნობრივად იყოს გამოყენებული და შედეგზე ორიენტირებული), რათა მათ, ვისაც ბიზნესის კეთება არ აქვთ დაგეგმილი და არც დიდი შემოსავალი გააჩნიათ, მიეცეთ საშუალება თამამად ჩამოვიდნენ და მშვიდად გაიარონ ინტეგრაციის პერიოდი.
2. წარმატებული ქართველების, მათ შორის, ნებისმიერ პოზიციაზე მომუშავე გამოცდილი მოქალაქეების დაბრუნება ქვეყანაში გამოიწვევს პროდუქტიულობის ზრდას, ქვეყნის სტანდარტის ამაღლებას და დანარჩენი მოსახლეობის ამ სტანდარტთან სწრაფ დაახლოებას.
3. მათი დაბრუნების დამატებითი მოტივაცია მოხდება ყველა სახელმწიფო სისტემის გამართულობის შემდეგ, რაც ავტომატურად ნიშნავს ლარის გამყარებას, ეკონომიკის ზრდას, თავისუფალ ბიზნეს გარემოს, ყოველგვარი კორუფციისაგან და წნეხისგან გათავისუფლებას და ა.შ.

საქართველოს „სილიკონის ველი“ (2022-2023 წწ)

1. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელობით მოხდება სან-ფრანცისკოს „სილიკონის ველის“ მოდელის დაკოპირება და გაუმჯობესება. შეიქმნება ტექნოლოგიური ქალაქი, რომელიც იქნება მიმართული „სტარტაპების“ ხელშეწყობისთვის, რათა ჩვენც შევქმნათ მორიგი ფეისბუქი, ტაქსიფაი, ეარბიენბი თუ სხვა. ათასობით სტარტაპიდან ერთმაც რომ გაამართლოს, ის ქვეყანას დიდ შემოსავალს მოუტანს.
2. უნდა მოხდეს ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრების შექმნა და 1-2 წლიანი პროფესიული ტრენინგები ყველაზე მოთხოვნადი ტექნოლოგიური მიმართულებით (პროგრამირება, კიბერუსაფრთხოება, ბლოკჩეინი და სხვა).
3. **„ყველა სერვისი ერთ ელექტრონულ სივრცეში“**- მსოფლიოს პირველი პლატფორმა - ყველა მომსახურება ერთ სივრცეში (პროგრამირება, ვებ დეველოპმენტი, იურისპრუდენცია, აუდიტორული მომსახურება და ა.შ.) - მოხდება არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური ფრილანცერების და კომპანიების გაერთიანება, რომლებიც დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს. ეს გამოიწვევს ათასობით ადამიანის დასაქმებას საქართველოში, ასევე დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას. ამ პროექტის ფარგლებში, ავტომატურად მოხდება საქართველოს გადამზადებული მოქალაქეების დასავლურ და ევროპულ ტექნოლოგიურ კომპანიებში დასაქმება დისტანციურად, რომელთაც შესაბამისი პროფესიის ადგილობრივ ანაზღაურებაზე მინიმუმ 3-ჯერ მეტი შემოსავალი ექნებათ.
4. **საქართველო, როგორც მსოფლიოს პირველი ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სპეციალისტი ქვეყანა** - აღნიშნული ტექნოლოგია არის გარდაუვალი მომავალი მსოფლიოსთვის და მისი დროული დაუფლება (რაც დღეს გამოკვეთილად არც ერთ ქვეყანას არ აქვს აღებული თავის თავზე) გამოიწვევს როგორც აღნიშნულ ტექნოლოგიებში გაწაფული ჩვენი მოქალაქეების შემოსავლების მკვეთრ ზრდას, ასევე ქვეყნის პირველობას მსოფლიოს რეგულაციურ ტექნოლოგიაში.

საქართველოს მინიმალური სახელფასო ზღვარი (2021-2024 წწ)

- საქართველოში **საშუალო ხელფასი მინიმუმ** უნდა შეადგენდეს: 2021 წელს - 1200 ლარს, 2022 წელს - 3000 ლარს, 2023 წელს - 5000 ლარს, 2024 წელს - 7500 ლარს

საბანკო სისტემის მოდერნიზება (2021 წ)

1. საქართველოში ვალუტაში სესხების პროცენტის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 6%-ს, ლარის შემთხვევაში - 9%-ს. ეს ყველაფერი დარეგულირდება ეროვნული ბანკისა და ლარის გამყარების პირობით, საქართველოს ბანკებთან შეთანხმების გზით.
2. პენსიონერებისთვის კრედიტის აღების შემთხვევაში წლიური არ უნდა აღემატებოდეს 9%-ს.
3. ბანკების აქტიური თანამონაწილეობა ე.წ ქართული „სილიკონის ველის“ შექმნაში. პოტენციურად წარმატებული პროექტების დაფინანსება და სტარტაპებისთვის გარემოს გაუმჯობესებით მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება, რაც ეკონომიკის 90%-ს შეადგენს.

აზარტული თამაშები - რეგულაციების გამკაცრება (2021 წ)

1. საქართველოში მაღალშემოსავლიანი ტოპ-10 კომპანიიდან 6 აზარტული თამაშების ბიზნესს წარმოადგენს, რომელთა ჯამური წლიური შემოსავალი 5 მილიარდს

ადმატება! თუმცა, მათ მიერ გადახდილი ყოველწლიური თანხა ბიუჯეტში მიზერულია მოგების უზარმაზარ მარჟასთან მიმართებაში - სულ 136 მილიონი (2018)! ამიტომ, მოხდება გადასახადების მომატება აზარტული თამაშების კომპანიებისთვის, რათა დარეგულირდეს უზარმაზარი უთანასწორობა მოგებასა და სახელმწიფოსთვის გადახდილ თანხას შორის (20% ბრუტო შემოსავლიდან ბიუჯეტში).

2. მოგების მარჟის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი სარეკომენდაციო ნორმების დაცვა, რათა არ მოხდეს ხალხის გადატაკება თანხის სწრაფი დაკარგვით.
3. ბედნიერების, სიმდიდრისა და განვითარების სამინისტრო თავის თავზე აიღებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ადგილობრივ თუ უცხოელ ფსიქოლოგებთან თანამშრომლობა, რათა მოხდეს აზარტული თამაშების მიმართ დამოკიდებულების ჯანმრთელი აქტივობებით ჩანაცვლება.
4. უნდა დაიხვეწოს ვებ. გვერდზე რეგისტრაციის წესი, რომელიც გამორიცხავს არასრულწლოვანთა რეგისტრაციას.

ელექტრონული დემოკრატია (2021-2022 წწ)

1. სახელმწიფო სისტემებში (ხაზინა, შესყიდვების სააგენტო (ტენდერები), სამინისტრო უწყებები, სასამართლო და სხვა) ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვა, რაც აღმოფხვრის კორუფციას და გახდის სახელმწიფო სტრუქტურებს გამჭვირვალეს.
2. სახელმწიფო მოწყობის სისტემის ოპტიმიზაცია - შვეიცარული მოდელის დანერგვა, რომელიც გულისხმობს საქართველოს ყველა რეგიონის დეცენტრალიზებას და მათ თანაბარ განვითარებას. ხალხი თავის რეგიონში მიიღებს გადაწყვეტილებებს საჭიროებებიდან გამომდინარე (ეს არ ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის უგულვებელყოფას ან სხვა რეგიონის მიმართ დამაზიანებელი გადაწყვეტილებების მიღებას).
3. ხალხს მიეცემა საშუალება გადააყენოს მთავრობა ელექტრონულად, ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული აპლიკაციის გამოყენებით - წელიწადში ერთხელ მოხდება დაპირებების შედეგების შეჯამება და თუ მმართველ პოლიტიკურ პარტიას დაპირებების 50%-ზე მეტი შესრულებული არ ექნება ან სხვა მნიშვნელოვანი დანაშაული მიუძღვის, ხალხს შესაძლებლობა ექნება ღილაკზე ერთი დაჭერით „დაემშვიდობოს“ მთავრობას.
4. არჩევნების გაყალბების დასრულება - ბლოკჩეინ ტექნოლოგია საარჩევნო სისტემაში გამორიცხავს: მკვდარ სულებს, დუბლირებას, ე.წ. სომხური კარუსელებს და სხვა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდება ხარჯები. ემიგრანტებს მიეცემათ ხმის მიცემის შესაძლებლობა სხვა ქალაქში ჩაუსვლელად.
5. სანამ ქვეყანა სრულად გადავა ელექტრონულ არჩევნებზე, საარჩევნო დღეს, ყველა საარჩევნო უბნებზე უნდა იყოს სახის ამომცნობი კამერები, რომლებიც მიერთებული იქნება პირდაპირ ეთერში ცენტრალურ სისტემასთან და დღის განმავლობაში ავტომატურად შეადარებს, როგორც რეალური ამომრჩევლის სახეს, ასევე პირადობაზე არსებულ სურათს, რაც გამორიცხავს ე.წ. „კარუსელს“ და მკვდარი სულების საკითხს.

6. სახაზინო (მათ შორის სატენდერო) საგადასახადო და სხვა უწყებების გადაყვანა ბლოკჩინ და ე.წ „გონიერი კონტრაქტების“ მართვის სისტემაზე, რაც გამოიწვევს გამჭვირვალობის უმაღლეს სტანდარტს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ამ ტექნოლოგიების დანერგვა გვამღებს შანსს, შევამციროთ ბიუროკრატია, საბიუჯეტო ხარჯები, გავაქროთ კორუფცია და სხვა. აღნიშნული ნაბიჯი მოიზიდავს უამრავ ინვესტორს, მათ შორის, ბლოკჩინ ტექნოლოგიების მიმართულებით, რომელიც ძალიან მზარდი სფეროა და მრავალი მილიონი დოლარის ინვესტიციას შემოგვიტანს.

ქალების სტატუსის და გავლენის ამაღლება პოლიტიკაში (2021 წწ)

1. დღეს, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა დაფუძნებულია „გამარჯვება-დამარცხების“, შეჯიბრისა და კონფრონტაციის მოდელზე და არა ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და კონსენსუსის მიღწევაზე, ამ მხრივ, ქალები ძალიან დიდ პროგრესს შემოგვთავაზებენ.
2. ჩვენს ერთ-ერთ კომპანიაში (მთარგმნელობითი) დასაქმებული 5000-მდე ფრილანსერ-თარჯიმნიდან 65%-ს ქალბატონები წარმოადგენენ, ამასთან, კომპანიის ოფისში დასაქმებულთა 95% ქალები არიან. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ისინი არიან უფრო აქტიურები, პასუხისმგებლიანები, შედეგზე ორიენტირებულები და კონფლიქტის დროს უფრო სწრაფად ახდენენ გამოსავლის ძიებას - ვიდრე მამაკაცები. მათ შეუძლიათ კონსტრუქციული ოპონირება, გონივრული კომპრომისი სასურველი შედეგის მისაღწევად ისე, რომ არ დაზიანდეს მთავარი ღირებულებები - ხალხის და ქვეყნის ინტერესები (მათი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის დამსახურებით). ჩვენი კომპანიის კრიზისიდან გამოსვლა და კვლავ ლიდერობაც (კომპანია ზედიზედ 5 წელია პირველ ადგილზეა საქართველოს მასშტაბით თავის სფეროში) მათი დახმარებით იქნა მიღწეული.

სიმდიდრის, ბედნიერებისა და განვითარების სამინისტრო (2022 წწ)

1. საპენსიო სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოოპერაციით მოხდება საქართველოს მოსახლეობის გამდიდრებაზე ზრუნვა (იხ. მდგრადი ეკონომიკის განყოფილება)
2. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის - მოხდება ყველა სპორტული მიმართულების უმაღლეს დონეზე გააქტიურება, რათა ქვეყანაში შეიქმნას ალტერნატივა ცუდი ჩვევების წინააღმდეგ (მაგ. ისლანდიაში თინეიჯერებში სიგარეტის მწვევლთა, ალკოჰოლიზმით გატაცებული და ნარკომანიის მაჩვენებელი 70%-ს აჭარბებდა. სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა მიმართულებით სპორტული აქტივობების პოპულარიზაციის გზით მოხდა ამ მაგნი ჩვევების დაწვევა 7%-მდე).
3. უნდა მოხდეს მოსახლეობის სულიერი განვითარება - ხელი უნდა შევუწყოთ რელიგიური სწავლებების პოპულარიზაციას, მინიმუმ, როგორც კაცობრიობის მნიშვნელოვანი სიბრძნის აკუმულაციას, რათა ადამიანები მიხვდნენ, რომ მათი კეთილდღეობისთვის მხოლოდ ფული არ კმარა. ეს გაგხვდის უფრო ბედნიერებს, ღმობიერებს, მეგობრულებს.

- ადრეული სასკოლო ასაკიდან სასწავლო პროგრამაში უნდა მოხდეს მაქსიმალური სოციალიზაცია, ბავშვების დატრენინგება სხვადასხვა მიმართულების კომუნიკაციებში, როგორცაა: მეგობრობა, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, პარტნიორები, შეყვარებულები, ოჯახის შექმნის შესახებ ინფორმაცია და სხვა.
- ადამიანის განვითარებაზე ზრუნვა თავისთავად გულისხმობს, რომ ხალხს მიეცეს მეტი თავისუფლება და შესაძლებლობები. მას შემდეგ, რაც ადამიანის განვითარების დონე მიაღწევს გარკვეულ ზღვარს, ის თავად შექმნის შესაძლებლობებს ცხოვრების სხვა ასპექტებში პროგრესისთვისაც.

სასჯელადსრულების სისტემა (2022-2023 წწ)

- მოხდება პატიმართა რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია. დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, განხორციელდება პატიმრების რეაბილიტაციის 3, 6, 9, 12 -თვიანი პროგრამები ფსიქოლოგიური, საუნარჩვევო და სხვა მიმართულებით. ამ პროგრამების წარმატებით გავლის შემდეგ ადამიანი ოჯახს ნაპოვნი სამსახურით (მათ შორის სამეწარმეო) უბრუნდება, რასაც გრძელვადიან ჭრილში, სახელმწიფოს სახსრების დაზოგვა და ოჯახების გამთლიანება მოჰყვება.
- მთლიანი სისტემა გადავა დაჯარიმების პრინციპზე - გამონაკლისი შემთხვევა იქნება მკვლელობის საქმეები და მძიმე დანაშაულებები, აგრეთვე შემოღებული იქნება გერმანული საადმინისტრაციო საჯარიმო სისტემა, რომელიც რეგულირდება სპეციალური ფორმულით და რეგულაციებით, რაც გულისხმობს მდიდრისთვის შესაბამისი ჯარიმის გამოწერას (იგივე დანაშაულზე ღარიბზე გაცილებით დაბალი ჯარიმის გამოწერას).

ჯანდაცვა (2021-2022 წწ)

- პრეზიდენტ ტრამპის ხელმძღვანელობის პერიოდში მყოფ ამერიკის საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციასთან (FDA) და ასევე კანადის ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციით მოხდება მათი ახალი მიდგომების და გამოცდილების გაზიარება, რათა მოხდეს წამლების ფასების შემცირება 50%-დან 80%-მდე (ეს მიიღწევა ე.წ ჯენერიკული წამლებით ჩანაცვლებით, ასევე ხელოვნურად გაზრდილი ფასების დაწევით და სხვა).
- ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნება სიცოცხლის გახანგრძლივების განყოფილება - მოხდება მსოფლიოში პირველი სამედიცინო-სამეცნიერო გაცვლითი პლატფორმის შექმნა ბლოკჩეინზე, რომელიც გულისხმობს მსოფლიო მეცნიერების მიერ თავისი მიღწევების გაზიარებას როგორც ოფიციალური, ისე ინკოგნიტო რეჟიმში. ფაქტიურად, იქმნება სამეცნიერო კლასის მსოფლიოში პირველი ავტონომიური პლატფორმა, სადაც მოხდება მსოფლიოს მეცნიერების მიღწევების გაზიარება ერთმანეთისთვის. პლატფორმის მიზანია ერთობლივი ბრძოლა ისეთ დაავადებებთან როგორცაა კიბო, ალცჰეიმერი ან თუნდაც სიბერე. მსოფლიოს მეცნიერების მიერ ერთმანეთისთვის გაზიარებული ინფორმაციით ბევრად დაჩქარდება ყველა დაავადებასთან ბრძოლა.
- კიბოს დამარცხება - მძიმე ავადმყოფობების პრევენციისთვის უნდა გამოიყოს რესურსი, რაც თავიდან აგვარიდებს ყოველწლიურად ათობით ათასი ადამიანის

სიკვდილიანობას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ე.წ მიშვებული, ქრონიკული დაავადებების პრევენცია, რომლებიც ხშირ შემთხვევებში რთულდება და გადაიზრდება სიმსივნეში (კიბოში) და რომლის შემდგომი მკურნალობა ბევრად უფრო ძვირი ჯდება და უმეტეს შემთხვევებში არის უშედეგო. ჩვენ, ფაქტიურად, ბევრად უფრო ნაკლები ხარჯით შევძლებთ კიბოს დამარცხებას წინარე მასიური პრევენციით და გადავარჩინოთ ათობით ათას ადამიანს ნაადრევი სიკვდილისგან.

4. **მასიური ვაქცინაციის შეზღუდვა** - უნდა მოხდეს არა მთელი მოსახლეობის, არამედ მხოლოდ რიკს-ჯგუფების ვაქცინაცია. ისიც, მხოლოდ ვაქცინის უვნებლობის საერთაშორისო დონეზე აღიარების შემდეგ (სამწუხაროდ მხოლოდ ჯანმოს არ ვენდობით, ვაქცინის უსაფრთხოება უნდა იყოს საერთაშორისო კლასის ლაბორატორიული კვლევების გამყარებული).
5. **სადაზღვევო სისტემის დამატებითი მოდერნიზება** - რომელიც ყველა პენსიონერს და სიღარიბის მიღმა მყოფ ადამიანს სრულად აუნაზღაურებს ნებისმიერ ხარჯს (გამონაკლისის გარეშე).

- **საყოველთაო დაზღვევის მოდერნიზება თანამედროვე ევროპული დაზღვევის სტანდარტით** - ჩართული იქნება ყველა ბიზნეს კომპანია ისევე, როგორც ევროპაში - ყველა დასაქმებულს ხელფასთან ერთად გადაუხდინა დაზღვევის მოსაკრებელს, რაც გამოიწვევს მოქალაქეთა უმრავლესობის ჯანმრთელობის ინდექსის ამაღლებას. ჯანმრთელი და მეტად პროდუქტიული ადამიანები როგორც კომპანიებს, ასევე სრულიად საქართველოს.
- ყველა მიმართულებით (სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ბიზნესი და სხვა) დაინერგება **სავალდებულო სადაზღვევო პრაქტიკა**. აღნიშნული გამოიწვევს სადაზღვევო ტარიფების საგრძნობ დაკლებას და ევროპული სტანდარტის დაზღვევის დანერგვას.

სურსათის უვნებლობის და ეტიკეტირების მკაცრი კონტროლი (2021 წწ)

1. ქვეყანაში პროდუქციის შემოტანის რეგულაციების გამკაცრება, რაც გულისხმობს მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული პროდუქციის შემოტანას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.
2. ამ რეგულაციებით გარანტირებული თავდაცვა უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტისგან (მათ შორის გენმოდირებული პროდუქციის აკრძალვა), ადგილობრივი წარმოების წახალისება ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობისკენ.
3. კონტროლის გამკაცრება - სკოლებთან, ბაღებთან და საბავშვო თავშეყრის ადგილებთან ახლოს - 200 მეტრის რადიუსში, შაქრის და მარილის დიდი შემცველობის, აგრეთვე დამაზიანებელი დანამატების შემცველი პროდუქციის (გემოს გამამძლიერებელი ე-621, კიბოს გამომწვევი დანამატი ე-330) გაყიდვის აკრძალვა.

საგარეო ურთიერთობების მოწესრიგება (2021-2023 წწ)

- უნდა გამოვიყენოთ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა და მდგომარეობა - გავხდეთ ოქროს ხიდი ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობაში, რაც გაამძლიერებს ჩვენს ქვეყანას და ავტომატურად გამოიწვევს გრძელვადიან მშვიდობას. იმ შემთხვევაში თუ რუსეთი არ წამოვიდა საქართველოსთვის სასურველ მოლაპარაკებებზე მაშინ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს აშშ-სთან შეთანხმება მათი ფართომასშტაბიანი ბაზის

შექმნისთვის საქართველოში, რათა საბოლოო წერტილი დაესვას რუსეთის მხრიდან სამხედრო ინტერვენციას. ეს საქართველოს მისცემს საშუალებას უფრო მეტი ბერკეტი ჰქონდეს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხში (კიდევ ერთხელ ვიმეორებთ - თუ რუსეთი არ წამოვიდა ქართველ ხალხთან (და არ პოლიტიკოსებთან) მოლაპარაკებებზე).

ძალოვანი სტრუქტურების მოდერნიზება (2022-2024 წწ)

1. საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს - mkhileba.gov.ge-ს რეალური ამუშავება/პოპულარიზაცია, რაც მაქსიმალურად გაამკაცრებს საჯარო მოხელეების დანაშაულებრივ გადაცდომებს.
2. ზემოთ აღნიშნულ დეპარტამენტთან ერთად, კონტროლს განახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და ბიზნესომბუდსმენი, რომლებიც ატვირთულ საქმეებზე მოახდენენ რეაგირებას.
3. პოლიციის რეფორმა - დუბაის მოდელი, როდესაც ქუჩაში არ პატრულირებენ საპატრულო ეკიპაჟები, ისინი არიან მობილიზებული შესაბამის ადგილებში, საიდანაც არაუგვიანეს 2 წთ-ში ჩნდებიან ადგილზე (როგორც დაცვის პოლიცია და კერძო დაცვის სააგენტოები საქართველოში), ამით იზოგება მილიონები საწვავში და ეფექტურობა იზრდება 5-ჯერ.
4. დანაშაულის საჯარიმო სისტემაზე გადასვლა (გამონაკისი მძიმე დანაშაული).
5. პროკურატურის, სუსის და შსს-ს ნდობის მაქსიმალური ამაღლება - საქართველოს სახალხო დამცველის, სახელმწიფო ინსპექტორის, ბიზნესომბუდსმენის უშუალო დაშვება, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ნებისმიერ საქმეზე და უშუალო კონტროლი საქმის მიმდინარეობისას.
6. ზემოთ მოცემული რეფორმების განხორციელება FBI-ს, CIA-ს NSA-ს და ევროკავშირის ქვეყნების საპოლიციო სტრუქტურებთან (ესპანეთი, გერმანია) კონსულტაციით.
7. რეფორმის ფარგლებში სუს-ს გადაუკეთდება სახელი და გახდება **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო**. შსს-ს გადაუკეთდება სახელი და გახდება **საქართველოს სამართალდაცვის სააგენტო**.

თავდაცვა (2022-2024 წწ)

1. ჯარში მსახურების საყოველთაო ვალდებულება გაუქმდება და დაზოგილი თანხებით მოვახდენთ მსურველების დატრენინგებას 6 თვიანი კურსით, მათ შორის - ქალების.
2. უნდა მოხდეს ამერიკასთან/ნატოსთან რეალურად სწრაფი ნაბიჯების გადადგმა და სამხედრო ბაზის შექმნა საქართველოში (თუ წარუმატებლად დასრულდა რუსეთთან მოლაპარაკება), რაც გაამყარებს ჩვენს სიძლიერეს რუსეთთან მიმართებაში. ჩვენ გვაქვს შანსი გავხდეთ ოქროს ხიდი აშშ-სა და რუსეთს შორის.

სასამართლო სისტემის მსოფლიო სტანდარტზე აყვანა (2021-2023 წწ)

1. საქმის სპეციფიკის შესაბამისად, მოხდება ბლოკჩეინით მოსამართლეების შემთხვევითობის პრინციპით შერჩევა, რაც გამორიცხავს საქმის კონკრეტული მოსამართლისთვის გადაცემას.

2. უნდა მოხდეს ყველა მოსამართლის, მათ შორის, უვადოდ დანიშნულების დისციპლინური კანონმდებლობის გამკაცრება, რაც გულისხმობს მოსამართლის დაჯარიმებას ან დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლებას, მისი თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.
3. მოხდება საარბიტრაჟო მომსახურების სისტემის დანერგვა, რომელიც წლებს დაუზოგავს მოდავე მხარეებს და უცხოურ ბიზნესს კიდევ ერთხელ აჩვენებს ჩვენი ქვეყნის გამჭვირვალობას და სანდოობას.
4. ამ მიმართულებით, მაქსიმალური სანდოობის გასამყარებლად მოხდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო საარბიტრაჟო ბლოკჩეინ-სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს 2 მოდავე მხარის მიერ, შესაბამის სახელმწიფო ვებ. გვერდზე დავის სარჩელების ატვირთვის შემდეგ, რანდომული პრინციპით საერთაშორისო არბიტრის შერჩევას, რომელიც მათ საკითხს განიხილავს.

სამართლიანობის აღდგენა (2021-2022 წწ)

1. ყველა შესაბამის სამინისტროში გაიხსნება უსამართლობასთან ბრძოლის განყოფილებები და დაზარალებულებს დაუბრუნდება უსამართლოდ ჩამორთმეული თანხა, ქონება, აუნაზღაურდებათ მიყენებული ზარალი.
2. ეს პროცესი დარეგულირდება საარბიტრაჟო მომსახურების გააქტიურებით - შეიქმნება საქართველოში არსებული საარბიტრაჟო იურიდიული კომპანიების ბაზა, განვითარდება მათი მომსახურების სისტემა, რაც დავის განხილვას 1-იდან 3-თვემდე შეამცირებს (სასამართლოს წლებთან შედარებით). დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდება სამართლიანობის აღდგენის აღსრულება. იმ შემთხვევებში თუ ქონება ან სხვა ღირებულება არ ექვემდებარება დაბრუნებას, დაზარალებულ მოქალაქესთან მოხდება ალტერნატივის შეთავაზება. აღნიშნული სისტემა ამოქმედდება 2021 წელს.
3. ჩატარდება ყველა გახმაურებული საქმის (ჟვანია, სარალიძე, სანაია, მაჩალიკაშვილი, შაქარაშვილი, ბაჩალიეშვილი და სხვების) ობიექტური გამოძიება.

ცრუ ინფორმაციის გავრცელებასთან ბრძოლა (2021 წწ)

1. ცილისწამება, "ფეიქნიუსი" და ზოგადად ადამიანის განგებ/უსაფუძვლო დადანაშაულება უნდა დარეგულირდეს შესაბამისი კანონმდებლობით - კონსტიტუციის მე-17 მუხლში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება, სადაც მკაცრად იქნება განსაზღვრული ჯარიმა სიმძიმის მიხედვით. ასევე, სასამართლოს მრავალწლიანი პროცესების ნაცვლად, აღნიშნული სახის დავები უნდა დაექვემდებაროს არბიტრაჟის (მათ შორის, საერთაშორისო არბიტრაჟის) გადაწყვეტილებას.
2. სსს-ში შეიქმნება დეზინფორმაციის საწინააღმდეგო დეპარტამენტი, სადაც მოხდება მონიტორინგი, ანალიზი და ბრძოლა აღნიშნულ პრობლემასთან, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან პროპაგანდისა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის აღსაკვეთად.
3. აღნიშნული კანონი უნდა იყოს იდეალურ ბალანსში სიტყვის თავისუფლებასთან. ასევე, არ უნდა ზღუდავდეს მედიას!

ქვეყნის არქიტექტურული გეგმის შედგენა (2021-2022 წწ)

1. უნდა მოხდეს საქართველოს მთავარი არქიტექტურული გეგმის გასწორება და ყველა მომავალი მშენებლობის მისთვის დაქვემდებარება, რათა ქვეყანამ არ დაკარგოს მისი უნიკალური სახე.
2. ამასთან ერთად, უნდა მოიხსნას ლიცენზირების ბიუროკრატიული და კორუფციული სისტემა.

ცესკოს რესტრუქტურისაცია (2021-2022 წწ)

1. ცესკოს რეაბილიტაცია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, როგორცაა არჩევნები ბლოკჩეინზე, სახის ამომცნობი კამერები უბნებზე და სხვა.
2. სარეფერენდუმო ელექტრონული სერვისის გააქტიურება ბლოკჩეინზე, რომელიც მოქალაქეებს მთავრობის დათხოვნის საშუალებას მისცემს თუ იგი დაკისრებულ მოვალეობას ან საარჩევნო დანაპირების მინიმუმ 50%-ზე მეტს ვერ/არ შეასრულებს (აღნიშნული ფანჯარა იქნება წელიწადში ერთხელ, თუ მანამდე რამე ფორსმაჟორული სიტუაცია არ შეიქმნა).

იუსტიციის სამინისტრო (2021 წწ)

- ყველა პერსონალური მონაცემის, პასპორტის, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და სხვ. გადატანა ბლოკჩეინზე, რათა გამოირიცხოს დოკუმენტების გაყალბება და მათი გამოყენება, მათ შორის, არჩევნების დროს.

საქართველოს პრეზიდენტის როლი (2021 წწ)

- საქართველოს პრეზიდენტის უფლებების გაზრდა, რათა მოახდინოს პარლამენტის და პრემიერის იდეალური ზედამხედველობა და მათთან კოოპერაციით საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება. (ფრანგული მოდელის საქართველოზე მორგება).

დედაქალაქის დეცენტრალიზება (2021-2023 წწ)

- უნდა მოხდეს თბილისის დეცენტრალიზება, რაც გულისხმობს ყველა ქალაქის თანაბრად განვითარებას ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბორჯომი, გორი, რუსთავი, თელავი და ა.შ.) ყველა ქალაქი უნდა ბრწყინავდეს!

განათლება ევროპული სტანდარტით (2022-2023 წლები)

1. ყველა სასწავლო დაწესებულება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტს არაუგვიანეს 2024 წლისა.
2. ჩვენი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების დასაქმების ინდექსი უნდა იყოს 95% და ზევით, რაც განხორციელდება სხვადასხვა სპეციალური პროექტების იმპლემენტაციით (იხ. განყოფილებები: სოფლის მეურნეობა, საქართველოს „სილიკონის ველი“, განათლება - პუნქტი „სტენფორდის პრაქტიკა“).
3. ბალისა და სკოლის დაწყებით კლასებში ფინური მოდელის იმპლემენტაცია, რომელიც გულისხმობს მოძველებული მიდგომების ჩანაცვლებას შედეგზე ორიენტირებული სწავლების მიმართულებებით.
4. სტენფორდის უნივერსიტეტის ამერიკული პრაქტიკის დანერგვა საუნივერსიტეტო და პროფესიულ სასწავლებლებში, რაც გულისხმობს მაგ. ბიზნესის

ადმინისტრირების მიმართულებით მე-3 კურსიდან კომპანიის რეგისტრაციას, რომელიც რეალურად დაიწყებს ფუნქციონირებას სახელმწიფოს და უნივერსიტეტის დაფინანსებით (უნივერსიტეტში გამოყოფილი იქნება თავისუფალი საერთო სივრცეები სრული აღჭურვილობით, ასევე დამატებით მოხდება ფულადი გრანტების გამოყოფა სხვადასხვა სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიებისთვის). ეს ყველაფერი მოხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით.

5. სტუდენტი სასწავლებლის დასრულების შემდგომ, რეალურ პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მიიღებს მისთვის საინტერესო მიმართულებაში მომუშავე საკუთარ კომპანიას და დიპლომთან ერთად, ის ბიზნესის მფლობელიც ხდება.

მეცნიერების განვითარება (2023-2024 წლები)

1. პროექტი „მსოფლიოს პირველი მონაცემთა წვდომის ცენტრი“ - შეიქმნება მსოფლიოში პირველი სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის პლატფორმა ბლოკჩეინზე, სადაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მეცნიერს/გამომგონებელს ექნება საშუალება საკუთარი ნაშრომები ან იდეები გააზიაროს, როგორც 100%-იანი ინკოგნიტო რეჟიმით, ასევე სტანდარტულად.
2. ეს მოგვცემს მსოფლიოში პირველ პლატფორმას, სადაც მოხდება საუკეთესო იდეების აკუმულაცია, როგორც მედიცინის/ტექნოლოგიების, ისე სხვა მიმართულებით. სხვადასხვა ჯგუფების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბევრად სწრაფად მოხდება გარღვევები კონკრეტულ სფეროებში. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მოხდება მათთვის შესაბამისი წვლილის პროპორციით ჰონორარების დარიცხვა.
3. მოხდება ახალგაზრდების წახალისება თავისივე მეცნიერულ სფეროში, რათა ჩამოვუყალიბოთ მომავლის ხედვა და შევუქმნათ მოტივაცია გააგრძელონ ამ მიმართულებით მოღვაწეობა.
4. მეცნიერების წახალისება და განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს ქვეყნის ყველა მიმართულების გაძლიერებას, როგორც არის: მედიცინა, ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა და სხვა.

ქართული სპორტის აღორძინება (2023-2024 წლები)

1. სპორტის განვითარება და ძველი დიდების დაბრუნება - განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფეხბურთს, რადგან ისტორიულად, ჩვენ საერთაშორისო დონეზე გვქონდა მაღალი შედეგები. შესაბამისად, მიღწეულის გამეორება ყოველთვის შეიძლება თუ იქნება მოტივაცია სახელმწიფოს მხრიდან.
2. წარმატებულ სპორტსმენებს უნდა დაენიშნოთ ყოველთვიური ხელფასი მეტი მოტივაციისთვის, რომელიც გავრცელდება სპორტის ყველა სფეროზე.
3. შეიქმნება სპეციალური ნახევარმილიარდიანი ფონდი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, რომელიც გულისხმობს მსხვილ ბიზნესებთან წინასწარ შეთანხმებებს სპონსორობის საკითხზე. სამაგიეროდ, ისინი მიიღებენ ბევრ შეღავათს, ასევე ხალხის მხრიდან აღიარებას და გუნდების წარმატების შემთხვევაში საერთაშორისო აღიარებასაც. რაც ყველაზე მთავარია,

ისინი შეუწყობენ ხელს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და უდიდეს წვლილს შეიტანენ ახალი თაობის ჯანსაღ განვითარებაში.

- უნდა მოხდეს სპორტის ყველა მიმართულების რეფორმა და მათი საქართველოს მასშტაბით გააქტიურება. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი ტალანტი და მათ მაქსიმალური ხელშეწყობა უნდა მიეცეს სახელმწიფოსგან.
- შეიქმნება სპეციალური განყოფილება - სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული არაკომერციული საწარმო (მსგავსი აშშ-ში არსებული NCAA), რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში არსებული ყველა კოლეჯის, უნივერსიტეტის, სკოლისა თუ სასწავლებლის ჩართვას საქართველოს პირველობისთვის ბრძოლაში თავის სფეროში, რაც ავტომატურად ნიშნავს საუკეთესო გუნდების/სპორტსმენების საერთაშორისო ტურნირებში ჩართვასაც.

საქართველოს კულტურული განვითარება (2023 წელი)

- ჩვენი ძეგლების დაბრუნება დიპლომატიური, საერთაშორისო სამართლის გზით დაეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია საზღვარგარეთ.

ვალდებულებების განულება (2021 წელი)

- აქ შედის როგორც საგადასახადო მიმართულების, ასევე კომუნალური და სხვა დავალიანების განულება ვინაიდან სახელმწიფომ ბოლო 13 წლის განმავლობაში არაპროფესიონალური, კორუფციული, მხოლოდ საკუთარი თავის გამდიდრებაზე ორიენტირებული იდეოლოგია გამოავლინა, გააუფასურა ღარი, გაადატაკა ხალხი და ვერ უზრუნველყო ქვეყნის და ხალხის წარმატება. მათი შეცდომების გამო ხალხი არ უნდა დაზარალდეს და აღნიშნულ პერიოდში დაგროვილი დავალიანებები განუღდეს.

საქართველოში უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების იარსებებს (2021-2022 წლები)

- მოხდება უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის, როგორც ფულადი, ასევე დასაქმების მიმართულებით დახმარება, რათა ამ ადამიანებს გარეთ - სიცივეში თუ სიცხეში დგომის საჭიროება მოეუხსნათ.

შშმ პირები ინტეგრაცია სოციალურში (2021-2022 წლები)

- უნდა მოხდეს შშმ პირებზე ადაპტირებული ადგილების გამრავლება. დაწესებულებები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ადგილები უნდა იყოს მათთვის მაქსიმალურად ადაპტირებული.
- ესპანური პრაქტიკის გათვალისწინება, სადაც კომპანია, რომელსაც 50-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს ვალდებულია შემადგენლობის მინ. 2.5% შშმ პირი დაასაქმოს, ხოლო 25-დან 50-მდე თანამშრომლის ყოლისას - შემადგენლობის 5%-ი.
- პროექტების სწრაფი დანერგვისთვის წლიური დაფინანსების გაზრდა 50%-ით.

საზოგადოებრივი უმცირესობების უფლებების დაცვა (2022 წელი)

- საქართველოში არსებული უმცირესობების მხარდაჭერა - ეუთოს უმაღლესი კომისრის დახმარებით, რეკომენდაციების გათვალისწინება.
- რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური თუ სხვა ნებისმიერი შეხედულების მქონე ადამიანების დაცვა ზუსტად იგივე შემართებით, როგორც საქართველოს სხვა რიგითი მოქალაქის. (გამონაკლისია სახელმწიფოს წინააღმდეგ ან არეულობისკენ მიმართული ხელოვნურად შექმნილი პრობლემები).

3. სეგრეგაციის, დისკრიმინაციის, ეთნიკური სიძულვილის და დაძაბულობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია აუცილებელია ძლიერი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.
4. ზემოთ მოცემული იდეების შესასრულებლად შეიქმნება შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც იქნება საქართველოს სახალხო დამცველის დაქვემდებარებაში.

ნარკოპოლიტიკა (2022-2023 წლები)

1. პორტუგალიის და ჩეხეთის წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინება - ყველა სახის ნარკოტიკული საშუალებების დაუყოვნებლივი დეკრიმინალიზაცია. თუმცა მათ გასაღებაზე, გაყიდვაზე ან დიდი რაოდენობით შენახვაზე იქნება შესაბამისი სახელმწიფო ჯარიმა.
2. სტატისტიკა აჩვენებს რომ მაგალითად პორტუგალიაში და ჩეხეთში დეკრიმინალიზაციის შემდეგ ნარკოტიკების მოხმარება 50%-ით შემცირდა.
3. ამ ნაბიჯის გადადგმისთვის კიდევ ერთი მაგალითი არის - მიღებული მშრალი კანონი, რომელიც გულისხმობდა ნარკოტიკად აღიარებული ალკოჰოლის მოხმარების აკრძალვას. ამ აკრძალვამ გამოიწვია მოსახლეობის მიერ ალკოჰოლის კუსტარულად დამზადება და იატაკქვეშეთის ბიზნესი, რომლითაც იწამლებოდა და კვდებოდა უამრავი ადამიანი. ამით უფრო დიდი ზიანი ადგებოდა მოსახლეობას. ასევე, ამავე აკრძალვამ გამოიწვია ნარკომანიის/წამალდამოკიდებულების პირველი მასიური ნიშნები და საბოლოოდ მიიღეს მშრალი კანონის გაუქმების გადაწყვეტილება.
4. უკვე არსებული წამალდამოკიდებული ადამიანების რეაბილიტაცია უნდა მოხდეს სრულიად უფასოდ, რომელიც პარალელურ რეჟიმში ჩანაცვლდება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციით და ადამიანის მაქსიმალური სოციალიზაციით.

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება(2023-2024)

1. ქართველების, როგორც უნიკალური ერის შენარჩუნებისა და მსოფლიოსთვის უფრო მეტი სარგებლის მოტანის მიზნით, უნდა მოხდეს მოსახლეობის თანმიმდევრული ზრდის წახალისება/მხარდაჭერა.
2. ეკონომიკის სწრაფ ზრდასთან ერთად, დამატებით სამოტივაციოდ, მე-3 ბავშვიდან ავტომატურად ხდება მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის მინიჭება, რაც ბევრ სხვა უპირატესობასთან ერთად, დამატებით ბენეფიტებსაც მოიცავს -20%-იანი ფასდაკლება ყველაფერზე 3 წლის განმავლობაში, დამატებით ერთჯერადი დახმარება - მე-3 ბავშვზე -3000 ლარი, მე-4 ბავშვზე - 4000 და ა.შ.

მოსახლეობის სულიერი განვითარება (2021-2022 წლები)

1. საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს, იუნესკოს, ევროკომისიის, ევროსაბჭოს და ეუთოს რეკომენდაციებით რელიგიური განათლება საჯარო განათლების ნაწილი უნდა იყოს. უნდა დაემატოს სასკოლო პროგრამას როგორც ახალი საგანი.
2. უნდა მოხდეს ყველანაირი კითხვის გაქრობა მღვდლებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ბუნდოვან საკითხზე; ეკლესია უნდა იყოს მაქსიმალურად სუფთა და გამჭირვალე; ის უნდა ემსახურებოდეს ხალხს და მათ სულიერ განვითარებას.

3. ხელი უნდა შეეწყოს მოსახლეობის სულიერ ზრდას. ჩვენი ქვეყნიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს რელიგიური სწავლებების პოპულარიზაციაზე. ამ გზით, ადამიანებმა უნდა გაითავისონ, რომ მათი კეთილდღეობისთვის მხოლოდ ფული არ არის საკმარისი და წინასწარ უნდა შეიქმნას საფუძველი გამდიდრებისა და სულიერი განვითარების ჰარმონიული თანაარსებობისთვის.
4. რელიგია უნდა იყოს პოლიტიკისგან/სახელმწიფოსგან გამიჯნული და სრულებით დამოუკიდებელი.

ცხოველთა დაცვის საკითხი (2021 წელი)

1. ალბათ ყველას შეგხვედრიათ მაწანწალა ძაღლი და მის სევდიან თვალებში ჩაგიხედავთ. მას რაც შეიძლება აწუხებდეს - ეს საკვებია, ამიტომ ყველაფერთან ერთად, უნდა მოხდეს ამ პრობლემის მოგვარება, რაც მათ შესაძლო (იშვიათ) აგრესიას მინიმუმამდე დაიყვანს.
2. ამისთვის, ქალაქში ძაღლების თავშეყრის ადგილებში უნდა დაიდგას სპეციალური აპარატები, სადაც პოლიეთილენის ბოთლის ჩაგდების შემთხვევაში ცხოველებისთვის საკვები იყრება. ეს ნაბიჯი, დამატებით, დაგვიცავს ძაღლების მიერ საჭმლის ძიების მიზნით ურნებიდან ნაგვის ამოყრისგან და გარემოს დანაგვიანებისგან.
3. მოხდება თავშესაფრების მოდერნიზება და ჩანაცვლდება მაღალი ხარისხის თავშესაფრებით, სადაც იქნება გაერთიანებული ცხოველთა დიაგნოსტიკა და მკურნალობაც.
4. საქართველოს კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილება ჩვენი ცხოველების უფრო უკეთ დასაცავად - როგორც ეს გერმანიაშია.

იძულებით გადაადგილებული პირები (2022 წელი)

1. იძულებით გადაადგილებულ პირებს და ომგამოვლილ ოჯახებს უნდა გადაეცეთ საცხოვრებელი ფართები.
2. ოჯახები ვისაც არ აქვთ დღემდე მიღებული ბინა უნდა გადაეცეთ დოკუმენტი კონკრეტული ფართის ოდენობით და დედლაინით როდის მიიღებენ აღნიშნულ ფართს (რეალურად გამოვლენილი რაოდენობისა და შემდგომ უკვე ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით).
3. უნდა მოხდეს ჩვენი დევნილების ღირსეული დაფასება.

მოხუცებულთა, ბავშვთა, სოციალურად დაუცველთა თავშესაფრების რეორგანიზაცია (2022 წელი)

1. დაფინანსების გაორმაგება, სანამ ქვეყანა არ გამოასწორებს მის ეკონომიკურ წარუმატებლობას, რათა მიუსაფარმა მოხუცებმა, ბავშვებმა და სოციალურად დაუცველმა პირებმა კომფორტულად გადაიტანონ ცვლილებების ეტაპი.
2. ფასდაკლებები მთელი საქართველოს მასშტაბით - 20%

საქართველოში გარემოს დაცვა ევროპული სტანდარტით (2022-2024 წლები)

1. საქართველოს ბუნების დაცვა: ჰესები არ უნდა აშენდეს არც რაჭაში და არც სხვაგან, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან ჩვენს ბუნებას და მოსახლეობას. ასევე, ტყის

გაჩეხვის მაგივრად, ხალხს უნდა შევთავაზოთ ბუნებრივი აირის შეყვანა სახელმწიფოს და გაზგამანაწილებელი კომპანიების დახმარებით.

2. საზოგადოებრივი ტრანსპორტი სრულად ჩანაცვლება ელექტრო/ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტობუსებით, ამასთან ერთად, გამკაცრდება კონტროლი უხარისხო ავტომობილების გადაადგილებაზე.
3. მოხდება ელექტრომანქანების შეძენის წახალისება (ელექტრომანქანის შეძენას სახელმწიფო 20%-ით დააფინანსებს).
4. შეიქმნება სახელმწიფო ტაქსების აპლიკაცია და ეტაპობრივად დაიგეგმება ტაქსების უცხოური კომპანიების ჩანაცვლება სახელმწიფო ტაქსებით. სახელმწიფო ტაქსი იქნება ელექტრომობილი, ყველა არსებული მძღოლი დასაქმდება შესაბამისი ანაზღაურებით, მათ გადაეცემათ სრულიად ახალი ელექტრომანქანები შემდგომ საკუთრებაში გადაცემის პრინციპით (5-8 წელი გააჩნია ავტომობილის კლასს). ამით ავიცილებთ სიკვდილიანობის დიდ მაჩვენებელს ჰაერის გაწმენდის გზით, ასევე ქვეყნიდან მილიონობით ლარის გადინებას სატაქსო უცხოური კომპანიების მეშვეობით.
5. საქართველოში არსებული ქიმიური ქარხნები, რომლებიც აბინძურებენ გარემოს და ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევენ რეგიონებში (ფეროს მეტალურგიური ქარხანა, ტყიბულის შახტები, ჭიათურაში და რუსთავში არსებული ქარხნები და სხვ.) უნდა აღიჭურვოს ევროპული სტანდარტის ფილტრაციის სისტემით.
6. ყველა ქალაქის მაქსიმალური გამწვანება, ნაგვისგან გათავისუფლება მოხალისეების ჯგუფების შექმნით ყველა ცენტრალურ ქალაქში და მათი უშუალო ჩართულობით.
7. პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხნის შექმნა.